

კომუნიკაცია

თქვენი შვილი ყოველ დღე ახალ სიტყვას სწავლობს და უყვარს სიტყვების გართიმვა. მან შეიძლება გამოიყენოს სასაცილო ენა და იცინოს თავის გამოგონილ ხუმრობებზე. მან იცის რა განსხვავებაა დღესა და ღამეს შორის, დღევანდელ დღესა და ხვალინდელ დღეს შორის. მას შეუძლია სამი ან მეტი მარტივი დავალების ერთდროულად შესრულება. მან იცის, რომ დაბეჭდილ ასოებს და სიტყვებს თავისი მნიშვნელობები აქვთ.

წარმოდგენის დადგმა

გამოიგონეთ რაიმე ისტორია და დადგით წარმოდგენა რამდენიმე თოჯინის მონაწილეობით, ესაუბრეთ მათ, რიგის დაცვით დაუსვით შეკითხვები და გაეცით პასუხები ან დადგით თოჯინების შოუ ნაცნობი ზღაპრის მიხედვით. ისაუბრეთ გმირების შესახებ, გაანაწილეთ როლები და ისიამოვნეთ შესანიშნავი წარმოდგენით!

საინტერესო ექსკურსია

მოაწყვეთ განსაკუთრებული ექსკურსია. მოინახულეთ მუზეუმი, პარკი ან რაიმე ადგილი ღია ცის ქვეშ. დაგეგმეთ წინასწარ, ბავშვთან ერთად. ისაუბრეთ იმის შესახებ თუ რას ნახავთ და რას გააკეთებთ. სახლში დაბრუნებისას დაუსვით შეკითხვები: რა ნახეთ და მან რა გააკეთა. სთხოვეთ, რომ მოუყვეს ოჯახის წევრებსაც. კარგი იქნება თუ სურათებსაც გადაიღებთ და აჩვენებთ.

დრამატული ზრაპრის დრო

წაუკითხეთ საყვარელი ზღაპარი თქვენს ბავშვს. დასრულების შემდეგ ჰკითხეთ, რა მოხდა ზღაპრის დასაწყისში, შუაში და ბოლოში. განასახიეროს ზღაპრის გმირები. თუ ზღაპარი ფერმის ცხოველების შესახებაა, მაშინ განასახიეროს ძროხა, წიწილა, ღორი ან ცხენი. წარმოადგინოს ზღაპრის სხვადასხვა მონაკვეთი, დასაწყისი, შუა და ბოლო ნაწილი.

ყველაფერი ჩემს შესახებ

შეაქმნევენეთ წიგნი საკუთარი თავის შესახებ. აკინძეთ რამდენიმე ფურცელი ლენტის ან ძაფის დახმარებით. შეუძლია ჩააკრას ოჯახის წევრების სურათები ოჯახის გვერდზე ან საყვარელი ცხოველების სურათები შესაბამის გვერდზე. შეუძლია სურათს რაიმე მიახატოს კიდევ. თვითონ შეადგინოს თავისი წიგნი და შემდეგ „წაგკითხოთ“ ისტორია თითოეული სურათის შესახებ.

დალაგებაში დახმარება

თქვენს ბავშვს მოეწონება თქვენი დახმარება სახლის დალაგებაში. შეუძლია სუფრის გაშლაში მოგეხმაროთ. სთხოვეთ გამოგავოს პატარა ნაწილი ან აალაგოს სათამაშოები. მიეცით საკმარისი დრო. დილაობით შეინახოს თავისი ღამის ტანსაცმელი. გამოუძებნეთ რაიმე მარტივი დავალებები სახლში. თქვენი ბავშვი იამაყებს იმით, რომ ოჯახს ეხმარება.

მე შემიძლია, მე შემიძლია, მე შემიძლია

სთხოვეთ ბავშვს დაიმახსოვროს და შეასრულოს სამი თანმიმდევრული დავალება: მაგალითად, შევიდეს საბაზანოში, ჩარეცხოს ტუალეტი და მოგიტანოთ კბილის ჯაგრისი ან მოძებნოს თქვენი ბეწვიანი საბანი, შემოახვიოს თოჯინას და დადოს სავარძელზე ან მოძებნოს ფეხსაცმელი, ჩადოს შიგ კუბი და დადოს მაგიდის ქვეშ. „შენ ეს შეძელი, ყოჩაღ!“

ღრუბლის ნახატი

თბილ და ღრუბლიან ამინდში გადით ეზოში, დაწექით ზურგზე და რიგ-რიგობით მიუთითეთ სხვადასხვა ფორმის ღრუბელზე. ჰკითხეთ, რას ამგვანებს ბავშვი ამ ღრუბელს: “შეხედე, იქ დათვია!” „შენ რას ხედავ?“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვის მსხვილი მოტორული უნარები უფრო ვითარდება და იხვეწება. მას შეუძლია სამთვლიანი ველოსიპედის ტარება, დაბრკოლებების გვერდის ავლა, მოხვევა და გაჩერება. შეუძლია მგორავ ბურთს ფეხი დაარტყას. სწავლობს სირბილს და შეუძლია გაჩერების გარეშე შეიცვალოს მიმართულება. გადადის ყირაზე და ცხენივით დახტის. შეუძლია დამოუკიდებლად იქანაოს საქანელაზე და სწორად ამოძრავოს ფეხები. შეუძლია ბურთი ისროლოს თავს ზემოთ აწეული ხელებით დაახლოებით 3 მეტრის მანძილზე.

აეროსტატი

ითამაშეთ ეს თამაში მის რამდენიმე მეგობართან ერთად. ააგდეთ ბურთი მაღლა და როდესაც ძირს ჩამოვა, სხვა ბავშვმა დაარტყას. ნახეთ, რამდენი ხანი შეძლებენ, რომ ბურთი ძირს არ დაუვარდეთ.

მიზანში გარტყმა

სამიზნის დასამზადებლად დიდ მუყაოს ნაჭერს გაუკეთეთ რამდენიმე 20 სანტიმეტრიანი ხვრელი ან ცარციტ დახატეთ ამავე ზომის წრე ტროტუარზე. ასროლინეთ ბავშვს ბურთი სამიზნეში მოსახვედრად. ჯერ ახლო მანძილიდან სცადოს და შემდეგ ნელ-ნელა დააშორეთ. ჯერ ზემოთ აწეული ხელებით, შემდეგ კი ქვემოთ დაწეული ხელებით ისროლოს. შეაქეთ, როდესაც მიზანს მოარტყამს!

ბურთით თამაში

თქვენი ბავშვი უკვე მზად არის გააუმჯობესოს ბურთით თამაში. გაუკეთეთ კალათა სკამის საზურგეზე. გამოიყენეთ დიდი ბურთი და აჩვენეთ როგორ უნდა ბურთით დრიბლინგი და შემდეგ სროლა კალათში ჩასაგდებად. ითამაშეთ ფეხბურთი, ნებისმიერი ორი საგნისგან გააკეთეთ კარი და დაარტყით ბურთი გოლის გასატანად.

ყელსახვევებით ცეკვა

წვიმიან დღეს ჩართეთ მუსიკა და იცეკვეთ. ბავშვს შეუძლია ცეკვისას იქნოს ფერადი ყელსახვევები, ლენტები, ცხვირსახოცები. ჩართეთ სხვადასხვა მუსიკა. სთხოვეთ კარგად მოუსმინოს და აჰყვეს მუსიკის რიტმსა და განწყობას.

წრეში ბურთი

ითამაშეთ დაჭერობანა ბურთით ბავშვის რამდენიმე მეგობართან ერთად. გამოიყენეთ დიდი გასაბერი ბურთი. აჩვენეთ ბავშვებს, როგორ უნდა მოემზადო, რომ ბურთის დაჭერა შეძლო. ჩადექით წრეში და ესროლეთ ბურთი ერთმანეთს. მოემზადე, დაიჭირე!

ახალი გამოცდილება

წაიყვანეთ ბავშვი ახლოს მდებარე სათამაშო მოედანზე, პარკში ან მინდორზე. მას მოეწონება აცოცება, სირბილი, ქანაობა, სრიალი და სხვა ახალი უნარების სწავლა. ახლოს იყავით და თვალი ადევნეთ. ის ძალიან გაბედულია!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვის თითებით შესრულებული მოძრაობები სულ უფრო და უფრო დახვეწილია. მას შეუძლია პატარა ნაწილებისგან შემდგარი სათამაშოების აწყობა და 8 ან მეტ- კუბიანი კოშკის აშენება. ის სწავლობს სხვადასხვა ფორმების დახატვას. თუ თქვენ აჩვენებთ, შესაძლოა ზოგიერთი ასოს დაწერაც შეძლოს. მას შეუძლია მაკრატლით წრეები და ოვალური ფორმები გამოჭრას. უფრო კარგად აკონტროლებს თავისი ხელების მოძრაობებს და ამიტომაც ბევრი რამის დამოუკიდებლად გაკეთება შეუძლია.

კრემიანი ნამცხვარი

მოემზადეთ კრემიანი ნამცხვრის გასაკეთებლად. გამოაცხვეთ ბისკვიტი და დადეთ თევზზე (შეიძლება მაგიდაზე მუშაობის გადაფარება დაგჭირდეთ). გაამზადეთ კრემი, დააბანინეთ ბავშვს ხელები და კრემიანი თითებით დახატოს ან ივარჯიშოს სხვადასხვა ფორმების ან ასოების გამოყვანა ნამცხვარზე. ამ თამაშის საუკეთესო ნაწილი ნამცხვრის შეჭმა იქნება! ☺

პატარა ავტორი

დაეხმარეთ შექმნას თავისი წიგნი. შეარჩიეთ თემა და მოძებნეთ შესაბამისი მასალა. აკინძეთ ერთად რამდენიმე ფურცელი. ბავშვს შეუძლია დახატოს ნახატი ან ჩააკრას ჟურნალიდან ამოჭრილი სურათები და ასე შექმნას მოთხრობა. მოაყოლეთ მას ეს მოთხრობა: ამბავი რაც მას ახსოვს, რაც მოსწონს ან არ მოსწონს და ვინ მონაწილეობენ მისი მეგობრებიდან. დაეხმარეთ მას დაწეროს თითო სიტყვა თითო გვერდზე.

მხატვრის ავტოგრაფი

დაახატინეთ ბავშვს ნახატი. როდესაც მორჩება დაეხმარეთ დაწეროს თავისი სახელი. თავიდან დახმარება დასჭირდება, თუმცა დამოუკიდებლად შეუძლია სცადოს. არაუშავს თუ კარგად არ გამოუვა. ასე ის სწავლობს დამოუკიდებლობას.

ქაღალდის ჯაჭვი

დაჭერით ქაღალდი 2 სანტიმეტრის სიგანისა და 10 სანტიმეტრის სიგრძის ზოლებად, რომლისგანაც ქაღალდის ჯაჭვს გააკეთებთ. აჩვენეთ, როგორ უნდა ბოლოების შეწება ისე, რომ რგოლი გაკეთდეს. გამოიყენეთ ეს ჯაჭვი მნიშვნელოვან მოვლენამდე დროის დასანიშნად და თითო დღეს თითო ჯაჭვის რგოლი ჩამოხიეთ.

წერილი მოვიდა

მიეცით ნება გახსნას წერილები დამოუკიდებლად, ამით ის თითებს გაავარჯიშებს, შესაძლოა რაიმე სურპრიზიც დახვდეს წერილში ☺ დაეხმარეთ თვითონაც დაწეროს წერილი და ოჯახის წევრს, საყვარელ მსახიობს ან სპორტსმენს გაუგზავნოს.

წყლით ხატვა

თბილ მზიან დღეს მიეცით თქვენს შვილს წყალი, ფუნჯი და ძველი ღრუბელი. ტროტუარზე, ხეზე ან კედელზე დახატოს წყლიანი ფუნჯით ნახატი. დააკვირდით, როგორ გაქრება ნახატი როდესაც წყალი აორთქლდება: “რა მოხდა?”

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენი ბავშვის ყურადღების ხანგრძლივობა იმატებს. მას შეუძლია საყვარელი საქმიანობით სხვისი მეთვალყურეობის გარეშე, მარტოც დაკავდეს. შეუძლია საგნების დახარისხება ფორმის, ზომის, სიგრძის და ფუნქციის მიხედვით. მას უყვარს ზღაპრების კითხვა და შეუძლია თვითონ გამოიგონოს ზღაპარი ან ზღაპრის დასასრული.

გამოცანა

სთხოვეთ ბავშვს დაფიქრდეს და გამოიგნოს გამოცანა: „შეგიძლია დამისახელო ცხოველი, რომელიც გვამღვებს რძეს?“ (ძროხა). „შეგიძლია მითხრა ისეთი რამ, რაც დაფრინავს, მაგრამ ფრთები არა აქვს?“ (აეროსტატი, რაკეტა). „მითხარი ისეთი რამ, რაც დაგორავს, მაგრამ ბორბლები არა აქვს?“ (ბურთი, ფორთოხალი). თუ თქვენ ბავშვს არა აქვს პასუხი, მიეცით მინიშნებები, სანამ არ გამოიგნობს. შემდეგ კი სთოვეთ, რომ თვითონ გამოიგონოს გამოცანა.

დაჯგუფება

პატარა თასში დააგროვეთ ბევრი სხვადასხვა ნივთი: ქაღალდის სამაგრები, შესაკრავი რეზინები, თმის სამაგრები ან სხვა წვრილმანი. ასწავლეთ, როგორ უნდა დააჯგუფოს ნივთები ერთმანეთთან. დახარისხეთ ქაღალდის სამაგრები ფერის, ზომის ან სიგრძის მიხედვით. ჩამწკრივეთ ხუთი საგანი და დათვალეთ სათითაოდ, თითის დადებით. თქვენს შემდეგ იგივე გაიმეოროს ბავშვმა.

ლოდინი

როდესაც რაიმეს ელოდებით, დაითვალეთ ერთად, რომ ნახოთ რამდენი დრო დასჭირდა. მაგალითად, როდესაც ავტობუსში სხედხართ და მწვანე შუქის ანთებას ელოდებით, დაითვალეთ სანამ აინთება. ამით თქვენი შვილი დათვლასაც ისწავლის და ლოდინსაც.

ხელის მოკიდებით ამოცნობა

მოაგროვეთ თქვენი შვილისთვის ნაცნობი ნივთები და ჩააწყვეთ ქაღალდის პარკში. მაგალითად, პატარა ფოთოლი, ბეისბოლის ბურთი, კბილის ჯაგრისი. სთხოვეთ, ხელი ჩაყოს პარკში და ამოარჩიოს რომელიმე ნივთი და ჩახედვის გარეშე ამოიგნოს რა არის. თუ დასახელება გაუჭირდება, დაეხმარეთ.

ციფრები და ასოები

მაღაზიაში ითამაშეთ ციფრების და ასოების მოძებნის თამაში. სთხოვეთ მოძებნოს ციფრები და ასოები კედლებზე, სურათებზე, რეკლამებზე. როდესაც იპოვის რომელიმეს, უთხარით: „შენ იპოვე ციფრი 5. ძალიან კარგია!“ მიუთითეთ სხვადასხვა ციფრებზე და ანბანის ასოებზე. მან შეიძლება ასოების დასწავლა ბგერების დახმარებით დაიწყოს. მაგალითად: “შენ იპოვე „ა“, ის არის სიტყვაში „თ-ა-ვი“, ასე იწყება სიტყვა „ა-ტამი“.

რა იქნება შემდეგი?

შექმენით სხვადასხვა თანმიმდევრობით დაწყობილი ნაკრებები პატარა სათამაშოების, კბილის ჯაგრისის, კუბების, მაკარონის, პატარა ფეხსაცმლის ან სხვა საგნების გამოყენებით. ჯერ ჩამწკრივეთ ეს ნივთები საწყისი ნიმუშის სახით. სთხოვეთ პატარას, რომ დაასრულოს თანმიმდევრობა: “რას ფიქრობ, რა იქნება შემდეგი?”

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენი შვილი ცდილობს დამოუკიდებლად ჩაიცვას. სწორად იცმევს ფეხსაცმელს. ტუალეტშიც დახმარების გარეშე შედის და კბილების გამოხეხვისთვისაც მხოლოდ მცირე მითითება სჭირდება. ის სუფრასთან ზის და სხვადასხვა ტიპის საკვებს დამოუკიდებლად მიირთმევს, ისხამს ჭიქაში, ჭამს კოვზით. შეუძლია თანატოლებთან თამაში და ახერხებს მეგობრის დამშვიდებას თუ ის გაღიზიანდება. თამაშისას იცავს წესებს და ასრულებს მითითებებს.

თამაშის დრო

თქვენ პატარას მოეწონება ახალი თამაშების სწავლა. კარგია ბარათებიანი თამაშების ან დაფაზე სათამაშო თამაშების სწავლა. ჩართეთ სხვა ბავშვიც, ასწავლეთ მათ წესები და ათამაშეთ. მოაწყვეთ თამაშის სადამო - ერთი დღე კვირაში, ვახშმის შემდეგ.

არაჩვეულებრივი მზარეული

თქვენ პატარას მოეწონება საჭმლის მომზადების პროცესში თქვენთვის დახმარება. ის ისწავლის დასხმას, დაქუცმაცებას, მოყრას და რბილი საკვების დაჭრას. სცადეთ მინი-პიცების მომზადება. მოაყაროს ყველი და გააფორმოს რითაც სურს. გამოაცხვეთ პიცა ღუმელში (ეს თქვენ უნდა გააკეთოთ!) რა გემრიელი გამოვიდა!

კარავი

წვიმიან დღეს დაპატიჟოს თქვენმა ბავშვმა თავისი მეგობრები სათამაშოდ. ერთად გაშალეთ კარავი: გადააფარეთ ძველი ზეწარი ან საბანი ავეჯს. მათ შეუძლიათ ითამაშონ კარავში ან წაიკითხონ წიგნი ფანრის დახმარებით. რა მაგარია საიდუმლო თავშესაფარში ყოფნა! ამ ასაკის ბავშვებს უკვე შეუძლიათ ალაგებაშიც მოგეხმარონ. მათ შეუძლიათ ზეწრის კუთხეები მოძებნონ და დაკეცვაში მოგეხმარონ.

პიკნიკი

წაიყვანეთ პიკნიკზე რბილი სათამაშო ცხოველები ან თოჯინები. ჩააწყვეთ კალათაში ხელსახოცები, გადასაფარებელი, დასაფენი ჭილოფი, სათამაშო საჭმელი, პლასტმასის თეფშები და ჭიქები. ჩაიცვას თქვენმა შვილმა (და დათუნიებმაც!) პიკნიკის შესაბამისად. მოიხმარეთ ბავშვი ალაგებაშიც, როდესაც პიკნიკს მორჩებით.

წერილის გაგზავნა

მიწეროს წერილი თქვენმა ბავშვმა ახლობელს. შეგიძლიათ თქვენ დაუწეროთ ის სიტყვები, რისი თქმაც მას სურს ან თვითონ სცადოს დაწერა. შეუძლია სიტყვების ნაცვლად დახატოს. წერილის ბოლოს მიაწეროს თავისი სახელი. აჩვენეთ, როგორ უნდა კონვერტზე მისამართის დაწერა (ამ ნაწილის გაკეთება სავარაუდოდ თქვენ მოგიწევთ). დააკრას საფოსტო მარკა და გააგზავნოს წერილი. შეამოწმეთ ხოლმე ფოსტა, პასუხო ხომ არ მოგივიდათ.

დაბანა და გამშრალება

პირსაბან ნიჟარასთან დააყენეთ ბავშვი სკამზე ისე, რომ სარკეში ჩახედვა შეეძლოს. მიეცით მას თავისი პირსახოცი და ასწავლეთ, როგორ უნდა პირის დაბანა. აკოცეთ მას სუფთა სახეზე. არ დაავიწყდეს კბილების გამოხეხვა. ბანაობის დროს დართეთ ნება, რომ ტანი დამოუკიდებლად დაიბანოს და გაიმშრალოს. თქვენ მხოლოდ დაეხმარეთ!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.